

## შემაჯამებელი ანალიზი (2016-2017 აკადემიური წელი)

### გამოკითხვები და მონიტორინგი

2016-2017 საწავლო წლის მანძილზე ბნსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ იქნა სასწავლო პროცესისა და ზოგადად უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგისათვის აუცილებელი შემდეგი ღონისძიებები:

1. სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო პროცესის ხარისხითა და ორგანიზების საკითხებით კმაყოფილებასთან დაკავშირებით;
2. სტუდენტთა გამოკითხვა განათლების ხარისხით კმაყოფილების საკითხთან დაკავშირებით;
3. აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა;
4. ლექცია-პრეზენტაციების მონიტორინგი;
5. დამსაქმებელთა გამოკითხვა;

სულ 2016-2017 სასწავლო წლის მანძილზე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოკითხული იქნა ბნსუ-ს 80 სტუდენტი. ზემოაღნიშნულმა გამოკითხვებმა საშუალება მისცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მოეხდინა სასწავლო პროცესის ობიექტური ანალიზი, გამოეტანა შესაბამისი დასკვნები და მიეცა ბნსუ ადმინისტრაციული ერთეულებისათვის შესაბამისი რეკომენდაციები. კერძოდ, ლექცია-პრეზენტაციების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ბნსუ-ში სალექციო პროცესის განსაკუთრებით დადებითი და განსაკუთრებით უარყოფითი მხარეები:

**განსაკუთრებით აღსანიშნავი დადებითი მხარეები:**

1. საინტერესო და მრავალფეროვანი მეცადინეობები - 90%;
2. სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა მეცადინეობის მსვლელობაში - 95%;
3. პედაგოგის მაღალი აკადემიურობა და პროფესიული კომპეტენცია - 90%.
4. სასწავლო პროცესი მაქსიმალურადაა ორიენტირებული შედეგზე - 90%;
5. წინა წლებისაგან განსხვავებით, სტუდენტები ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით - 91%;
6. როგორც სტუდენტებს, ისე ლექტორებს სრულყოფილად აკმაყოფილებს ტექნიკური აღჭურვილობის დონე - 97%;
7. ცოდნის შეფასების სისტემა რელევანტური და მოსახერხებელია როგორც სტუდენტთათვის, ისე ლექტორ-მასწავლებლებისათვის - 96%;

**განსაკუთრებით აღსანიშნავი უარყოფითი მხარეები**

1. ლექტორთა 5% არღვევს დროის მენეჯმენტსა და არარაციონალურად იყენებს სალექციო დროს;
2. არ ხდება შუალედური გამოცდების შედეგებისა და დამუშავებული შეცდომების სათანადო განხილვა.

სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლამ აჩვენა, რომ როგორც საზღვაო-საინჟინრო, ისე ლოგისტიკის ფაკულტეტზე, გამოკითხულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს სასწავლო უნივერსიტეტის მუშაობას სასწავლო პროცესის ხარისხისა და ორგანიზაციული მხარის თვალსაზრისით. ბნსუ-ს ყველა სტუდენტისათვის მისაღებია სასწავლო კურსების მოცულობა, შინაარსი, პედაგოგთა და ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. გამოკითხვას არ გამოუვლენია პუნქტი შეფასებით „ცუდი“/„მალიან“ ცუდი“. აუცილებლად გასათავისუფლებელი ის ფაქტი, რომ გამოკითხილთა 45%-ის აზრით, არ ხდება შუალედური გამოცდის შედეგებისა და დამუშავებული შეცდომების სათანადო განხილვა. ასევე ისიც, რომ გამოკითხულთა 20% ნაკლები ინტენსივობით სარგებლობს ბნსუ-ს ბიბლიოთეკით (იგულისხმება დარბაზში მუშაობა).

განთლების ხარისხით სტუდენტთა კმაყოფილების შესწავლისას ორთავე ფაკულტეტის სტუდენტებმა მაქსიმალური კმაყოფილება აჩვენეს ცოდნის შეფასების სისტემის და სტუდენტების მიმართ ლექტორების დამოკიდებულების მიმართ. აქვე საგულისხმოა, რომ 2016-17 სასწავლო წლიდან ბნსუ-ში ამოქმედებულმა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულმა სისტემამ უზრუნველყო შეფასების პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა 98% მაღალ შეფასებას აძლევს ბნსუ-ს მატერიალ-ტექნიკურ რესურსებს, სასწავლო პროგრამებსა და სასწავლო მასალას. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი თვლის, რომ ბნსუ-ს ხ.უ.ს-ი აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ აქტუალური რჩება ლექციის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის საკითხი. სასურველია, ლექტორ-მასწავლებლები მეტ ყურადღებას უთმობდნენ თითოეული სტუდენტისათვის აზრის გამოხატვისა და განსახილველი საკითხის გააზრების პროცესში მეტად ჩართულობის მომენტს. ასევე, რეკომენდებულია, ლექტორთა ნაწილს ჩაუტარდეს დამატებითი კონსულტაციები პრეზენტაციათა დახვეწისა და ოპტიმიზაციის საკითხთან დაკავშირებით.

დამსაქმებლის კმაყოფილების შესწავლამ ცხადყო, რომ დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კურსდამთავრებულის სპეციალური ცოდნა და უნარები, არამედ მისი უნარი სწრაფად და ხარისხიანად მიიღოს და გამოიყენოს ის კომპეტენციები, რომლებიც შესაბამისაა მის სამსახურეობრივ მოვალეობებს. შესაბამისად, არ არის საკმარისი მხოლოდ აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. აუცილებელია სტუდენტებს ჩამოუყალიბდეს თვითგანვითარების, სწავლის გაგრძელების, ცოდნის და უნარების სრულყოფის მოტივაცია. ასევე აუცილებელია უცხოური ენის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომინიკაციების ტექნოლოგიების და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და მისი გამოყენების უნარი პროფესიულ საქმიანობაში. ანექტირების შედეგად მიღებული მონაცემები რომელთა მეშვეობით შეილება ვიმსჯელოთ დამსაქმებელთა მოლოდინების და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების სრულყოფის მიმართულებების შესახებ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, სწავლის შედეგების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით და აღნიშნულის შედეგად - კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას. სტანდარტულ ანკეტასთან ერთად, გამოკითხვაში მონაწილე დამსაქმებელი ეთხოვა წერილობით გამოხატა თავისი მოსაზრება დასაქმებისათვის აუცილებელი უცხო ენების შეხება და პრიორიტეტულობის მიხედვით, მიეთითებინა კურსდამთავრებულთათვის დასაქმებაში ხელიშეწყობილი უცხოური ენები. გამოკითხულთა 100% თვლის, რომ კურსდამთავრებულთათვის აუცილებელია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა (საზღვაო დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით); 30% თვლის, რომ ასევე, დამატებით, სასურველია თურქული ენის ფლობა (ლოგისტიკის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

საგანმანათლებლო პროგრამები. SWOT-ანალიზი

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“

პლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 10 დეკემბრის #190 გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის ISO 9001:2008 და IQNet საერთაშორისო სერტიფიკატები. პროგრამა წარმოადგენს განსაკუთრებული სპეციფიკის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც თავისი შინაარსით და კურსდამთავრებულის კომპეტენციებით შეესაბამება როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, საქართველოს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონის), ისე საერთაშორისო კონვენციების, ნორმატიული დოკუმენტების და სტანდარტების - საერთაშორისო საზღვაო კონვენციის, STCW-78/95 (მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის), 2010 წლის „მანილას ცვლილებების“, IMO-ს ნორმატიული დოკუმენტების, საერთაშორისო საზღვაო საკლასიფიკაციო საზოგადოებების მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსის დახვეწაში და კურსდამთავრებულის კომპეტენციების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ როგორც ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, ისე საზღვაო სფეროში მომუშავე კერძო სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და საზღვაო დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს დარგში არსებული თანამედროვე საჭიროებებისა და დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული არამიწარმო რესურსი - საზღვაო დარგის სპეციალისტები, რომელთა კომპეტენციები, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და სპეციალური მომზადება, პირდაპირ მიმართულია პროგრამის სრულფასოვან განხორციელებაზე და უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მატერიალური რესურსი - საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით აღჭურვილი ლაბორატორიები, სპეციალური მომზადების კაბინეტები, გემის დანადგარების დარბაზი, სიმულატორებით და უახლესი კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი ტრენინგ-ცენტრი და ტრენაჟორული მომზადების ცენტრი Navi-Trainer RADAR/ARPA/ ECDIS: სიმულატორები (Engine Room Simulator ERS 2000/3000, Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) და სპეციალურად აღჭურვილი კაბინეტები: Engine Team and Resource Management, Elementary First Aid, Oil and Chemical Tanker, Fire prevention and Fire Fighting, Personal Safety and social responsibilities, Personal Survival Techniques, Tanker familiarization, ISPS Code, Dangerous goods და სასწავლო-საწვრთნელ გემი "ელიტა" უზრუნველყოფენ პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას, სტუდენტების სპეციალურ მომზადებას გემზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად და პროგრამის კურსდამთავრებულების საერთაშორისო სტანდარტებისა და კონვენციების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მათ შორის საკრუინგო კომპანიებში საწარმოო და საცურაო პრაქტიკების გავლის შედეგად. საერთაშორისო სტანდარტებთან პროგრამის კურსდამთავრებულების - საზღვაოსნო მეცნიერებების (საზღვაო ნავიგაცია) ბაკალავრების - კომპეტენციების შესაბამისობა უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე, დასაქმებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობას საერთაშორისო სანაოსნო და კრუინგული კომპანიებში. გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლიათ ეტაპობრივად მოიპოვონ საოკეანო-სავაჭრო გემის შემადგენლობის - გემწამყვანის მორიგი წოდება და დაიკავონ შესაბამისი თანამდებობა - გემის კაპიტნის III თანამდებობიდან კაპიტნის თანამდებობის ჩათვლით (მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად). პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საკრუინგო კომპანიებთან ბნსუ-ს აქვს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები.</p>	<p>ამ ეტაპზე არ იკვეთება</p>
<p><b>განვითარების შესაძლებლობები</b></p>	<p><b>განხორციელების რისკები</b></p>
<p>უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები ერთობლივად პროგრამის განხორციელების და სტუდენტების ურთიერთგაცვლის მიზნით. პროგრამის განხორციელებაში საზღვაო დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მათ შორის უცხოეთის, სპეციალისტების ჩართულობის გაზრდა. აკადემიური პერსონალის, პროფესიული გამოცდილების მქონე პირთა, დარგის სპეციალისტების და სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლების ერთობლივი თანამშრომლობით პროგრამის განვითარების და პროგრამის თითოეული კომპონენტის დახვეწის შესაძლებლობები.</p>	<p>ადგილობრივ შრომის ბაზარზე პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სირთულე საქართველოში ადგილობრივი გემთმფლობელი კომპანიის არ არსებობის გამო.</p>

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის მექანიკა“

პლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 10 დეკემბრის #191 გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის ISO 9001:2008 და IQNet საერთაშორისო სერტიფიკატები. პროგრამა წარმოადგენს განსაკუთრებული სპეციფიკის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც თავისი შინაარსით და კურსდამთავრებულის კომპეტენციებით შეესაბამება როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, საქართველოს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონის), ისე საერთაშორისო კონვენციების, ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების - საერთაშორისო საზღვაო კონვენციის, STCW-78/95 (მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის), 2010 წლის „მანილას ცვლილებების“, IMO-ს ნორმატიული დოკუმენტების, საერთაშორისო საზღვაო საკლასიფიკაციო საზოგადოებების მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსის დახვეწაში და კურსდამთავრებულის კომპეტენციების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ როგორც ბნსუ-ს აკადემიური</p>	<p>ამ ეტაპზე არ იკვეთება</p>

<p>პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, ისე საზღვაო სფეროში მომუშავე კერძო სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და საზღვაო დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს დარგში არსებული თანამედროვე საჭიროებების და დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი - საზღვაო დარგის სპეციალისტები, რომელთა კომპეტენციები, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და სპეციალური მომზადება, პირდაპირ მიმართულია პროგრამის სრულფასოვან განხორციელებაზე და უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მატერიალური რესურსი - საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით აღჭურვილი ლაბორატორიები, სპეციალური მომზადების კაბინეტები, გემის დანადგარების დარბაზი, სიმულატორებით და უახლესი კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი ტრენინგ-ცენტრი და ტრენაჟორული მომზადების ცენტრი; სიმულატორები (Engine Room Simulator ERS 2000/3000, Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) და სპეციალურად აღჭურვილი კაბინეტები: Engine Team and Resource Management, Elementary First Aid, Oil and Chemical Tanker, Fire prevention and Fire Fighting, Personal Safety and social responsibilities, Personal Survival Techniques, Tanker familiarization, ISPS Code, Dangerous goods და სასწავლო-საწვრთნელ გემი "ელიტა" უზრუნველყოფენ პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას, სტუდენტების სპეციალურ მომზადებას გემზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად და პროგრამის კურსდამთავრებულების საერთაშორისო სტანდარტების და კონვენციების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მათ შორის საკრუინგო კომპანიებში საწარმოო და საცურაო პრაქტიკების გავლის შედეგად. საერთაშორისო სტანდარტებთან პროგრამის კურსდამთავრებულების - საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრების - კომპეტენციების შესაბამისობა უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე, დასაქმებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობას საერთაშორისო სანაოსნო და კრუინგული კომპანიებში. გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ეტაპობრივად მოიპოვონ საოკეანო-სავაჭრო გემის შემადგენლობის - გემთმექანიკოსის მორიგი წოდება და დაიკავონ შესაბამისი თანამდებობა - გემის III მექანიკოსის თანამდებობიდან უფროსი მექანიკოსის ჩათვლით შეზღუდვითა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად). პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საკრუინგო კომპანიებთან სასწავლო უნივერსიტეტს აქვს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები.</p>	
<p align="center"><b>განვითარების შესაძლებლობები</b></p>	<p align="center"><b>განხორციელების რისკები</b></p>
<p>პროგრამის განხორციელებაში საზღვაო დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მათ შორის უცხოეთის, სპეციალისტების ჩართულობის შესაძლებლობა. აკადემიური პერსონალის, პროფესიული გამოცდილების მქონე პირთა, დარგის სპეციალისტების და სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლების ერთობლივი თანამშრომლობით პროგრამის განვითარების და პროგრამის თითოეული კომპონენტის დახვეწის შესაძლებლობები.</p>	<p>ადგილობრივ შრომის ბაზარზე პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სირთულე საქართველოში ადგილობრივი გემთმფლობელი კომპანიის არ არსებობის გამო.</p>

**3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერჯეტიკული დანადგარები“**

<p align="center"><b>მლიერი მხარეები</b></p>	<p align="center"><b>სუსტი მხარეები</b></p>
<p>პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 24 ივლისის №84, გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტისა და მიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთმშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტის მიერ. ქართულ განმახორციელებელ მხარეს მინიჭებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის ISO 9001:2008 და IQNet საერთაშორისო სერტიფიკატები. პროგრამა წარმოადგენს განსაკუთრებული სპეციფიკის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც თავისი შინაარსით და კურსდამთავრებულის კომპეტენციებით შეესაბამება როგორც განმახორციელებელი ქვეყნების - საქართველოსა და უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის (მათ შორის, საქართველოს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონის), ისე საერთაშორისო კონვენციების, ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების - საერთაშორისო საზღვაო კონვენციის, STCW-78/95 (მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის, 2010 წლის „მანილას ცვლილებების“, IMO-ს ნორმატიული დოკუმენტების, საერთაშორისო საზღვაო საკლასიფიკაციო საზოგადოებების მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსის დახვეწაში და კურსდამთავრებულის კომპეტენციების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ როგორც ბნსუ-სა და გეუ-ს აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, ისე საზღვაო სფეროში მომუშავე კერძო სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და საზღვაო დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს დარგში არსებული თანამედროვე საჭიროებების და დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი - საზღვაო დარგის სპეციალისტები, რომელთა კომპეტენციები, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და სპეციალური მომზადება, პირდაპირ მიმართულია პროგრამის სრულფასოვან განხორციელებაზე და უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მატერიალური რესურსი - საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით აღჭურვილი ლაბორატორიები, სპეციალური მომზადების კაბინეტები, გემის დანადგარების დარბაზი, სიმულატორებით და უახლესი კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვილი ტრენინგ-ცენტრი და ტრენაჟორული მომზადების ცენტრი; სიმულატორები (Engine Room Simulator ERS 2000/3000, Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) და სპეციალურად აღჭურვილი კაბინეტები: Engine Team and Resource Management, Elementary First Aid, Oil and Chemical Tanker, Fire prevention and Fire Fighting, Personal Safety and social responsibilities, Personal Survival Techniques, Tanker familiarization, ISPS Code, Dangerous goods და სასწავლო-საწვრთნელ გემი "ელიტა" უზრუნველყოფენ პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას, სტუდენტების სპეციალურ მომზადებას გემზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად და პროგრამის კურსდამთავრებუ-</p>	<p>ამ ეტაპზე არ იკვეთება</p>

<p>ლების საერთაშორისო სტანდარტების და კონვენციების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მათ შორის საკრუინგო კომპანიებში საწარმოო და საცურო პრაქტიკების გავლის შედეგად. საერთაშორისო სტანდარტებთან პროგრამის კურსდამთავრებულების - საზღვაოსნო მეცნიერებების (გემის მექანიკა) ბაკალავრების - კომპეტენციების შესაბამისობა უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე, დასაქმებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობას საერთაშორისო სანაოსნო და კრუინგული კომპანიებში. გემზე მუშაობის აღიარებული სტაჟისა და სათანადო მომზადების საფუძველზე პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ეტაპობრივად მოიპოვონ საოკეანო-სავაჭრო გემის შემადგენლობის - გემთმექანიკოსის მორიგი წოდება და დაიკავონ შესაბამისი თანამდებობა - გემის III მექანიკოსის თანამდებობიდან უფროსი მექანიკოსის ჩათვლით (მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად). პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საკრუინგო კომპანიებთან სასწავლო უნივერსიტეტს აქვს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები.</p>	
<b>განვითარების შესაძლებლობები</b>	<b>განხორციელების რისკები</b>
<p>პროგრამის განხორციელებაში საზღვაო დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მათ შორის უცხოეთის, სპეციალისტების ჩართულობის შესაძლებლობა. აკადემიური პერსონალის, პროფესიული გამოცდილების მქონე პირთა, დარგის სპეციალისტების და სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლების ერთობლივი თანამშრომლობით პროგრამის განვითარების და პროგრამის თითოეული კომპონენტის დახვეწის შესაძლებლობები.</p>	<p>ადგილობრივ შრომის ბაზარზე პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სირთულე საქართველოში ადგილობრივი გემთმფლობელი კომპანიის არ არსებობის გამო.</p>

**4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა“**

<b>ძლიერი მხარეები</b>	<b>სუსტი მხარეები</b>
<p>პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 10 დეკემბრის #192 გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის ISO 9001:2008 და IQNet საერთაშორისო სერტიფიკატი. პროგრამა წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც თავისი შინაარსით და კურსდამთავრებულის კომპეტენციებით შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსის დახვეწაში და კურსდამთავრებულის კომპეტენციების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ როგორც ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, ისე ლოგისტიკის დარგში მომუშავე კერძო სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და გადაზიდვების დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს დარგში არსებული თანამედროვე საჭიროებებისა და დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი - ლოგისტიკის დარგის სპეციალისტები, რომელთა კომპეტენციები, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და სპეციალური მომზადება, პირდაპირ მიმართულია პროგრამის სრულფასოვან განხორციელებაზე და უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მატერიალური რესურსი - საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით აღჭურვილი ლაბორატორიები და სპეციალური მომზადების კაბინეტები უზრუნველყოფენ პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას, სტუდენტების სპეციალურ მომზადებას ლოგისტიკურ კომპანიებში მუშაობის უფლების მოსაპოვებლად და პროგრამის კურსდამთავრებულების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მათ შორის ლოგისტიკურ კომპანიებში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების გავლის შედეგად. ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან პროგრამის კურსდამთავრებულების - ტრანსპორტის ბაკალავრების - კომპეტენციების შესაბამისობა უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე, დასაქმებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობას როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედ, ისე საერთაშორისო სატრანსპორტო და ლოგისტიკურ კომპანიებში. პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ლოგისტიკურ კომპანიებთან სასწავლო უნივერსიტეტს აქვს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები.</p>	<p>ამ ეტაპზე არ იკვეთება</p>
<b>განვითარების შესაძლებლობები</b>	<b>განხორციელების რისკები</b>
<p>უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები ერთობლივად პროგრამის განხორციელების და სტუდენტების ურთიერთგაცვლის მიზნით. პროგრამის განხორციელებაში ლოგისტიკის დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მათ შორის უცხოეთის, სპეციალისტების ჩართულობის შესაძლებლობა. აკადემიური პერსონალის, პროფესიული გამოცდილების მქონე პირთა, დარგის სპეციალისტების და სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლების ერთობლივი თანამშრომლობით პროგრამის განვითარების და პროგრამის თითოეული კომპონენტის დახვეწის შესაძლებლობები.</p>	<p>ამ ეტაპზე არ იკვეთება.</p>

**5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სატრანსპორტო ლოგისტიკა“**

<b>ძლიერი მხარეები</b>	<b>სუსტი მხარეები</b>
<p>პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 10 დეკემბრის #193 გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის ISO 9001:2008 და IQNet საერთაშორისო სერტიფიკატი. სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც თავისი შინაარსით და კურსდამთავრებულის კომპეტენციებით შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროგრამის შინაარსის დახვეწაში და კურსდამთავრებულის კომპეტენციების ჩამოყა-</p>	<p>ამ ეტაპზე არ იკვეთება</p>

<p>ლიბეზაში მონაწილეობდნენ როგორც სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები, ისე ლოგისტიკის დარგში მომუშავე კერძო სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და გადაზიდვების დარგის სპეციალისტები, რაც უზრუნველყოფს დარგში არსებული თანამედროვე საჭიროებებისა და დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი - ლოგისტიკის დარგის სპეციალისტები, რომელთა კომპეტენციები, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და სპეციალური მომზადება, პირდაპირ მიმართულია პროგრამის სრულფასოვან განხორციელებაზე და უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მატერიალური რესურსი - საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით აღჭურვილი ლაბორატორიები და სპეციალური მომზადების კაბინეტები უზრუნველყოფენ პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას, სტუდენტების სპეციალურ მომზადებას ლოგისტიკურ კომპანიებში მუშაობის უფლების მოსაპოვებლად და პროგრამის კურსდამთავრებულების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მათ შორის ლოგისტიკურ კომპანიებთან თანამშრომლობას საკვალიფიკაციო ნაშრომის შექმნის მიზნით. ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან პროგრამის კურსდამთავრებულების - ტრანსპორტის მაგისტრების - კომპეტენციების შესაბამისობა უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე, დასაქმებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობას როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედ, ისე საერთაშორისო სატრანსპორტო და ლოგისტიკურ კომპანიებში. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ლოგისტიკურ კომპანიებთან ბნსუ-ს აქვს დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები.</p>	
<p style="text-align: center;"><b>განვითარების შესაძლებლობები</b></p> <p>უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები ერთობლივად პროგრამის განხორციელების და სტუდენტების ურთიერთგაცვლის მიზნით. პროგრამის განხორციელებაში ლოგისტიკის დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, მათ შორის უცხოეთის, სპეციალისტების ჩართულობის შესაძლებლობა;</p>	<p style="text-align: center;"><b>განხორციელების რისკები</b></p> <p>ამ ეტაპზე არ იკვეთება.</p>

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია**

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აძლევს რეკომენდაციას საზღვაო-საინჟინრო და ლოგისტიკის ფაკულტეტებს, 2017-2018 სასწავლო წლის ფაკულტეტის გეგმებში გათვალისწინებულ იქნეს ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული ანკეტირებისა და ანალიზის მიერ გამოკვეთილი ხარვეზები და დაიგეგმოს მათი აღმოფხვრის გზები. მიეცეს რეკომენდაცია ბნსუ-ს ადმინისტრაციას, უზრუნველყოს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა პროფესიული და მეთოდოლოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგებისა და კურსების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის - საერთაშორისო დონეზე. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადებითად აფასებს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში 2016-17 სასწავლო წელს განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით ჩატარებულ სამუშაოებს.

*ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი*